№ 70
სამშაბათი, 2 აპრილი 1896

1877—1896

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 70
სამშაბათი, 2 აპრილი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 11.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲘᲓᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ჯერზედ
16 კაპ. შეორეზედ—8 კაპ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ №227

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Სათავად-აზნაურო ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 3 აპრილს 1896წ.

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან, ქ-ნ ავალიშვილისა და ვ. ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

I

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ

დრამა 4 მოქმედ. თარგ. ა. ნიკიტინისა.

II

ᲓᲘᲓᲔᲠᲫᲘ ᲡᲘᲚᲔᲜᲫᲘ

მოთამაშენი: ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ნებიერიძისა, რჩეულოვისა; ალექსეევ-მესხიშვილი, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მუედლი შვილი, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსეევ-მესხიშვილი.

ᲓᲠᲝᲔᲒᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გჰბზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არდუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ფ. მილიუტინისა, უგანათ. თავ. ვ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულოს ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7).

შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (12—13).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** ოთხშაბათს, 3 აპრილს, ქალბატონნის ავალიშვილისა და ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენილი იქნება დრამა 4 მოქმედებად „გულის თქმა“, თარგ. ა. ნიკიტინისა და დიკერტისმენტი. ეს პიესა მეორედ იქმნება ნათამაშევი ჩვენს სცენაზედ.

*** ბათუმსა და ტფილისს შუა, გუშინ წინ, კვირას, უკვე დაიწყო სახალხო მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა.

*** „რუს. ვედ.“-ში დასტამბული შემდეგი დეპეშა პეტერბურგიდამ: „ხმა არის, ვითომც უნდა დაარსდეს განსაკუთრებული ცენზურა სახალხო წიგნებისათვის“.

*** ქუთაისიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს: ქუთაისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ ფინანსთა მინისტრს შესაძლებელად უცვნია ამ ბანკის ოპერაციების სფერაში შევიდეს ბათუმის ოლქა, ქ. ბათუმითურთ, და ართვინის ოლქა. გარდა ამისა, ნება ეძლევა ბანკს დიდ-ვადიანის სესხის გაცემისა მამულების გირაოთი 61 წ. და 8 თვით, და აგრეთვე ქალაქის უძრავ ქონების გირაოთი 36 წ. და 4 თვით. ხოლო რაც შეეხება ახალის გირავნობის ფურცლების გამოცემას, მინისტრს შესაძლებელად უცვნია ეს უფლებაც მისცეს ბანკს, მაგრამ გამოსცეს არა უმეტეს 500 ათასი მანეთისა; ამასთანავე კრედიტს, რომელიც 25 ოქტომბერს 1895 წ. გაეხსნა ბანკს 300 ათასი მანეთისა, ამ ჟამად კვლავ დაემატა 200,000 მანეთიო.

*** გაზეთი „სვეტ“ ამბობს, რომ პროექტი ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისა შესახებ სამეურნოე თანხის შედგენისა ტფილისის გუბერნიის გლეხთათვის განხილულ იქმნა ცალკე საბჭოში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მინისტრებმაცაო. გაზეთი ამბობს, რომ თუმცა პროექტი შეეხება მარტო ტფილისის გუბერნიას, მაგრამ იმოდენად სასარგებლოდ დანახულ იქმნა, რომ შესდგა აზრი მიიღონ იგი პროექტი საყოველთაოდ და განავრცელონ მთელს რუსეთის იმპერიაშიო. აზრი ამ პროექტის საყოველთაოდ გავრცელებისა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრსაო. სამეურნოე თანხის პროექტი ახალი რამ არის და იმისთანა ახალიო, რომლის გავნხორციელება დიდად სანატრელი ნასესხი ფული არ დამიბრუნნა, დაპირებისამებრ,—ამ ქონებას გავუყიდი და ჩემსას გამოვიჩენი. ამ მეორე გვარ კრედიტს, ქონებაზედ დამყარებულს,—რეალურ, ქონებრივ (вещественный) კრედიტს უწოდებენ.

საადგილ-მამულო კრედიტი სწორედ ამ რეალურ კრედიტს ეკუთვნის‘ რადგან იგი დამყარებულია მამულის დაგირავებაზედ. რაღა თქმა უნდა, რომ პრაქტიკაში სესხის გაცემის დროს, მაინც და მაინც ხელმძღვანელობენ, როგორც ადამიანის პირადის ღირსებით, ისე მისი ქონებითაც, მაგრამ, კერძოთ, საადგილ-მამულო კრედიტში ქონებას გაცემებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა პირობებზე. რაკი საადგილ მამულო კრედიტის მისაწოდებლად საადგილ მამულო ბანკები არიან დაარსებულნი, მაშასადამე, ამ ბანკების მოქმედება უძრავ ქონების, მამულების დაგირავებაზედ უნდა იყოს დამყარებული. ეს უკანასკნელი გარემოება აიძულებს ბანკს ისეთი წესი შემოიღოს, რომელიც რწმუნებას მისცემს მას და კაპიტალისტს, რომ დაგირავებული მამული მართლა და პასუხის გამცემი იქმნება გასესხებული ფულისა; მანამ და სასურველიაო. იდეია ამისთანა თანხის შედგენისა უნდა ცნობილ იქმნას ბრწყინვალე იდეიადაო. შედგენილი მარტო ერთის გუბერნიისათვის, იგი აღმოჩნდა სხვა დანარჩენ გუბერნიებისათვისაც ძალიან გამოსადეგადაო. განხორციელება ამ პროექტისა დიდად სასურველია და სასარგებლო სამშობლოსათვისაო. ამბობენო, რომ ეს მოწონებული ცალკე საბჭოსაგან პროექტი უკვე შეტანილია სახელმწიფო საბჭოში, რათა დამტკიცებული იქმნას კანონ-მდებლობის წესითაო. დარჩა ვისურვითო, რომ ამ ახალს დაწყობილებას ხელი შეეწყოსო.

*** ამავე დედა-აზრის და იდეის პროექტი შესდგა ტფილისში ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთათვის და კარგა ხანია რაც წარდგენილია მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. ეს პროექტი კერძო დამფუძნებელთაგან არის წარდგენილი და როცა დამტკიცდება, წარეგზავნება თავად-აზნაურთა კრებას, რომ მის მიერ საერთოდ მიღებულ იქმნას და თუ მიღებულ არ იქმნება, კერძო დამფუძნებელნი იკისრებენ იგი განახორციელონ მსურველთა მოწვევითა.

*** როგორც გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ ქუთაისიდამ, იქაური საერთაერთო კრედიტის საზოგადოების დირექტორის არჩევანზე კვალად ბ-ნი ქუთათელაძე აურჩევიათ.

*** რეგორც იუწყებიან გაზეთები, საშუალო სასწავლებლების იმ მასწავლებელ ქალთა და კაცთ, რომელნიც ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე წასვლას მოისურვებენ, ნება თურმე აქვთ უფასოდ იცხოვრონ ადგილობრივს საშუალო სასწავლებლებში. იმპერატორიცა მარიამის უწყების მასწავლებლებს შეუძლიანთ ქალთა ინსტიტუტის შენობაში იცხოვრონ, რომელიც ზაფხულობით თითქმის ცალიერია, სამხედრო სასწავლებლის მასწავლებლებს—არაკჩეევის კორპუსის შენობაში, ხოლო სასულიერო უწყების მასწავლებლებს—სასულიერო სასწავლებლების შენობაში.

*** სოფ. სიმონეთი. 15 მარტს, პარასკევ ღამეს, 10 საათზედ, ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: დაბა ყვირილიდამ შინ მომავალი ორი ძმა გვენეტაძეები სასიკვდილოდ დასჭრეს ავაზაკებმა. გვენეტაძეებს, რომელთაც ხარ-ურემი მოჰყავდათ შინ, მოელწიათ თუ არა ძირულას პირში, სადაც ერთი გაცივებული დუქანი დგას, დაესვენებინათ ხარები და საკვები მიეცათ. ცოტა ხნის შემდეგ მისცვივდნენ თურმე ექვსი შეიარაღებული კაცი. გვენეტაძეებს იარაღი არ ჰქონიათ. ავაზაკებს ფული ეთხოვათ და მათ რაც ჰქონდათ, მიეცათ. მაგრამ ავაზაკებმა ესეც არ იკმარეს თურმე, ესროლეს რევოლვერი უფროსს ძმას, რომელსაც ეხლაც აქვს ტყვია გულზედ ძვალსა და კანს შუა შეჩერებული, დაურთეს ხანჯლები და წაიკიეს. მას მიეშველა უმცროსი ძმა, მაგრამ ისიც მალე დაეცა ძირს. ასე რომ უფროს ძმას აქვს თექვსმეტი ჭრილობა და უმცროსს—ექვსი. ავაზაკთაგანი სამი კიდევაც შეიპყრეს და ამბობენ დანარჩენებსაც მალე მოვიძებნითო. ის ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა და სადაც მიტოვებული დუქან-სახლი დგას, შენიშნულია თურმე ამნაირ საქმეში და ავაზაკთა თავ-შესაფარად გადასცდეს. აქედამ ცხადია, რომ კრედიტი ნდობაზედ (credere—ნდობის ქონება) არის დამყარებული“.

ამნაირად რაკი სესხის გაცემა მოხდება, ამითი ნდობაც გამოცხადდება. ვნახოთ ახლა რა დარა ნდობით ხელმძღვანელობენ სესხის გაცემის დროს. ნდობა შეიძლება ადამიანისა მჭონდეს და რაიმე ქონებისაც. ე. ი. მე შემიძლია ფული ვასესხო ვისმე, იმიტომ-კი არა, რომ იგი მდიდარია და რამე ქონება აქვს, არამედ იმიტომ, რომ მჯერა იმისი პატიოსნებაა, დარწმუნებული ვარ, რომ არ მოინდომებს იგი ჩემს მოტყუებას და ნასესხებ ფულს უთუოდ დამიბრუნებს. ამნაირი კრედიტი, როდესაც, მიუხედავად ქონებისა, ადამიანის კერძო ღირსებაზედ არის დამყარებული, ამნაირ კრედიტს უწოდებენ—პირად (личный) კრედიტს. ხოლო მეორე გვარის კრედიტიც არის. ამ მეორე შემთხვევაში სესხის გაცემის დროს ისე ადამიანის პირად ღირსებას არ უყურებენ, როგორც მის ქონება-შედეგებს. ამ შემთხვევაში ფულის გამსესხებელი ასე ჰფიქრობს: რაც უნდა დაემართოს იმ კაცს, ვისაც ვასესხე—ეს მისი ქონება იქნება ჩემი პასუხის გამცემი. თუ ეს რწმუნება არ ექმნებათ,—ფულის გაცემაც შეუძლებელია, და მაგ რწმუნების შეძენა დამყარებულია ერთნაირ წესზედ, რომელსაც ჰიპოტეკური წესი, სისტემა, ეწოდება.

ბანკს ხომ თვითონ არა აქვს ფული, მან კაპიტალისტებისაგან უნდა ისესხოს და კაპიტალისტები მხოლოდ მაშინ ასესხებენ, როდესაც დარწმუნდებიან, რომ ბანკში მიბარებული ფული არ დაიწვება. აი ეს ჰიპოტეკური სისტემა აძლევს მაგ ძვირფასს რწმუნებას კაპიტალისტს. იგი დაჯერებულია მაგ სისტემის შეწყობით, რომ დაგირავებული მამული მართლა-და კუთვნილებას შეადგენს იმ პირისას, ვინც ფულსა სესხულობს, რომ დავალიანებული არ არის. ერთი სიტყვით, ეგ სისტემა ღონისძიებას აძლევს ყველას, ყოველს წამს შეიტყოს‘ ესა-და-ეს მამული რა მდგომარეობაშია პატრონისა, ვალისა თუ სხვა რამის მხრივ. ამ ჰიპოტეკას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საადგილ-მამულო კრედიტისათვის, რომ ეს კრედიტი თავისის თვისებებით უთუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, ე. ი. საადგილ-მამულო ბანკები გრძელის ვადით ასესხებენ ფულს 10—15 წლიდამ დაწყებული 50—60 წლებზედ მეტსაც. ევროპაში, კომერციულ კრედიტში, სესხი მოკლე ვადიანი არის ამიტომ, რომ ევროპის რამდენიმე თვეში შეუძლიან გამოისყიდოს დაგირავებული ნივთი, რადგან სავაჭრო ნივთი ადვილად გასასყიდია. მემამულეს-კი სად შეუძლიან ერთბაშად ამოაღებინოს მიწას ის ფული, რომელიც უსესხნია იმის დაგირავებით. მამულის შემოსავალი ისეთია, რომ იგი ცოტ-ცოტად მოდის და ხანგრძლივ; დიდხან უნდა უცადოთ, რომ მამულში ჩაბნეული ფული დაგიბრუნდეთ—ეს თვისება არის მიწისა, მეურნეობისა და, მაშასადამე, მიწის დაგირავებაზედ დამყარებული სესხიც ხანგრძლივი უნდა იყოს.

ჩვენ ვსთქვით, რომ მეურნეს ვაჭარივით არ შეუძლიან ერთბაშად დაბრუნოს ვალი; მას ვალის გადახდა თან-და-თანობით, ნაწილ-ნაწილად შეუძლიან, ე. ი. ისე, როგორც თვით იღებს შემოსავალს ნაწილ-ნაწილად, მაშასადამე, საადგილ მამულო ვალი არამც თუ მარტო ხანგრძლივი უნდა იყოს, არამედ იმისი გარდახდაც ნაწილ-ნაწილად უნდა ხდებოდეს.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, სა-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲣᲨᲐᲠᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(საადგილ-მამულო კრედიტი)

მანამ ავწერდეთ საადგილ მამულო ბანკების მოწყობილებას, ორიოდე სიტყვა ვიტყვით შესახებ იმ თვისებათა, რომელიც საადგილ-მამულო კრედიტს მოსდევს.

საეკონომიო ლიტერატურაში ბევრნაირი ახსნა არსებობს სიტყვა კრედიტისა. ამ ჟამად ჩვენ იმ ახსნით ვისარგებლებთ, რომელსაც პროფესორი შაჩკინი აძლევს ამ სიტყვას: „როდესაც რაიმე ფასიანი ნივთი თავისის პატრონისაგან მეორის ხელში გადადის, როგორც სესხი, ე. ი. იმ პირობით გადადის, რომ დროებით ისარგებლონ მითი და შემდეგ-კი, როცა დრო გავა, ისევ პატრონს დაუბრუნონ, ან თვითონ ის ნივთი, ან იმის ფასისა სხვა რამე—ამნაირ მოქმედებას (сдѣлка) უწოდებენ კრედიტს. რაღა თქმა უნდა, რომ ვისაც სურვილი აქვს კრედიტი იქონიოს ღონისძიებაც უნდა ჰქონდეს აღებულს—დაბრუნებისა და სინდისი, რომ თავისს სიტყვას—დაგიბრუნებ—

დაც ყოფილა ცნობილი. ამიტომ ადმინისტრაციამ უნდა თვალ-ყური ადევნოს ამნაირ ალაგებს და არ უნდა მისცეს ნება გამარტოებულ და ტყიან ალაგას ვინმემ დუქანი გააღოს ან უმნიშვნელო სახლი იქონიოს.

ᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ფოთი. მარტის 17-ს საქალაქო დარბაზში დანიშნული იყო კრება ფოთის საკრედიტო საზოგადოებისა. კრებას უნდა ესწრაო ორი დირექტორი, რადგან ძველ დირექტორებს კიდა შეუსრულდათ. ამ თანამდებობაზედ რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული, მაგრამ აქ დასთბას ადგილი არა ჰქონდა და „ვინც უნდა იყოსო“, ამბობდნენ ამომრჩეველები. მხოლოდ რამდენსიმე პირმა ეწერათ ჩაჩხის სოდი და ჭფეიერობდნენ თავისისაკენ კანდიდატადებინა „საზოგადოების ბელი“, მაგრამ ამოიტე იქცი გაუფრენდათ.

სანამ ანგარიშის წაკითხვას და არჩევნებს დაიწყებდნენ, კრებამ აირჩია თავმჯდომარედ ადგილობრივი მსჯველი, ამბავ საკრედიტო საზოგადოების წევრი ბ-ნი გ. ს. მრეველიანი. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, ზოგიერთმა საზოგადოების წევრმა მიჭმართა ბ. თავმჯდომარეს შემდეგის თხოვნით: „რადგან აქ უმეტესობა სულ ქართველობაა, რომლებიც რუსულ ენის ტოდნას მოკლებულნი არიან და მათთვის წაკითხული ანგარიში გაუგებარია, ამისათვის უფლებულად საჭიროა, რომ იგივე ქართულადაც გადათარგმნოს და ეახლესს, რომ ტოტოთი მინც გაგებიოდეთ ბანკის თავგადასავალი და გამგეობის მოღვაწეობა. ამის ბანი მისცა ერთმა უფხოტომის პირმა, რომელიც რამდენსიმე ხნის განმავლობაში, როგორც თავმჯდომარეს, ისე დირექტორად უანგაროდ მოღვაწეობდა. პატივცემულმა პირმა აღიარა, რომ ჩვენ დროში ბანკის ანგარიშებს ქართულად ვახსნეკენებდი ხოდმეო. ამას, რასაკვირველია, სხვებიც შეუერთდნენ, მაგრამ ჩვენდა სასუბუქოდ თავმჯდომარემ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

შემდეგ ამომრჩეველთ კენჭი ჩამოუტარეს იმ პირთ, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ კანდიდატებად მხოლოდ ერთის დირექტორის ადგილზედ-კი იგივე ძველი დირექტორი ბ. ს. ალანია აირჩიეს, რომელიც რამდენჯერმე ერთხმად ეოთვალ არჩეული ამაკე თანამდებობაზედ და ესლაც ს

გრძნობა, რათა დეხმარნენ ამიტრიმიერ დაზარალებულთ უბედურ ხალხს ჩვენს ქვეყნისას, მაგრამ გვეშინიან, ვაი თუ გვითხრან: თუ უბედურთ საქართველოდან მოგვმართამდნენო; ამისთვის დიდათ საჭიროა ტფილისს და ქუთაისში დაადგინონ ცენტრალური კომიტეტები, რომ შემომწირველთ იცოდნენ სად გაგზავნონ შეწირული.

ყოველი უბედურების მიზეზი ჩვენის ქვეყნის გაუნათლებლობა და შორს არა მხედველობაა. ერთი მიზეზთანგანი ჩვენის ქვეყნის წალეკიანა ჯიბრით, შურით და მტრობით ტყეების გაჩეხაა; უტყეობამ ამ წალეკის გარდა წაგვიხლინა ჰაერი, დაბადა ბევრგან გვალვა, დაეშრო უკვდავი წყაროები, დიდთ იღლეს მდინარეებმა, ამის გარდა შემოგვესია ადამიანის სნეულება, მაწის მოსავალს, ვენახებს, ხეხილს გაუწყდათ დამღუპველი ქიანღუები, გასწყდა ბალახი და ყოველმა მიწის მოსავალმა იკლო დიდს წვიმა ნიადგრებს, თოვლს, ქარებს და კარაშხალებს წინ ტყეები აღარ უხვდება, რომელიც მათ სიცელქეს იკავებდა. ერთის სიტყვით, მრავალის მხრით მოგვესია ათასი უბედურება. ამ უბედურებათა ასაცდენათ მომავალში ერთად-ერთი ღონისძიება-ღა არის, სწავლა განათლების საქმეების საჩქაროდ შველა და არა კუს ნაბიჯით სიარული, როგორც ამ საგანზედ კომისიები და სხვა მოწაფნობლები გეგმებით სეირნობენ. ბატონებო, საქმეს შეუდგეთ მალე და ძალიან მალე, თორემ აივსო ჩვენი ქვეყანა უსწავლელ, თავ-აშვებულ ყმაწვილი ხალხით, რომელთაც სწყურიანთ და სწყურიანთ სწავლა-განათლება და ნუგეში არსაიდ არის. რა იქმნა ის სურნელი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაგანაც მრავალმა ნებაყოფლობით დაიწერა ფულის გადახდა სწავლა-განათლებისთვის. ჩემის აზრით საღმთო მოვალეობაა, ვისაც შეეხება ეს საქმე, მოსძებნოს მალე, სთხოვოს თავიროობას, რომ დროზედ მოგვცენ ნება ამ საქმის აღსრულებაში მოყვანისა, ეს ძალიან ადვილად შეუძლიანთ გუბერნიის მარშალს თავ. კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრანბატონსა და იმედია, ვთიარცა ერთგული, მალე ეცდება. აი აქ უნდა გამოვიჩინოთ თავვამოდება და გულუხვობა! ნუ-თუ არ უნდა გვქონდეს სახეში, რომ რამდენიმე სახელოვანმა მეფიდრამა ქართველმა კაცმა საუკუნოდ განისვენა ისე, რომელთაც ან არ უნდოდათ, თუმცა ქნელი დასაჯერებელია, ან თუ უნდოდათ — ვერ მოახერხეს თავიანთი აუარებელი ქონებიდან სამშობლო ქვეყნისათვის; ეხლა-კი ზოგიერთების მათგანის სიმდიდრე ისე დაიფშვნიტა და იფშმენტება, როგორც შარშანდელი ყვავილი ველისა და იმათი სახელიც გვით თუ მალე დავიწყებული შეიქნება. აბა, ის კურთხეული, რათ ინებეს ასე, რა ენაღვლებოდათ სიცოცხლისავე დროს რაც ემეტებოდათ თავიანთი ქონებიდან ისეთი რამ საქმე მოეხდინათ, რომ თითონაც თავიანთი თვალით ერახათ ნაყოფი კეთილი და სხვებიც გაემხნევებინათ და გაეხარებინათ?! ღმერთმა ინებოს, რომ ვინც მათნაირი ბედნიერნი მათი მემკვიდრენი და სხვანი განსვენებულსავით არ მოიქცენ და თავიანთ სიცოცხლის დროს რაც ემეტებათ ეხლავე გადასდონ და დაიდგან უკვდავი ძეგლი კაცთ მოყვარეობისა და ქველ მოქმედებისა. ღვთოთ, იმედია, მალე შეუდგებიან ამ უკვდავს საქმეს, ნიშანი ამისა ის არის, რომ ნეტარ ხსენებულის ცნობილის თავადის გიორგი ერისთავის შვილმა, კეთილმა თავადმა ზაქარიამ, შესწირა მდიდარი მამული და კიდევ აღგვითქვა შემწეობა. მდიდრების გარდა, ჩვენ, მცირე სარჩოთის პატრონთაც სალმრთო მოვალეობა გვაწევს, შეძლებისდა გვარად, ჩვენც უნდა შევეწიენთ და მცირედი ჩვენი შეწირულება შეუერთოთ მდიდარ პირთ შეწირულებას; ნათქვამია: „ყველამ რომ თითო აგება ძაფი გამოიმეტოს, დარიბს ჭრანგი გამოუვაო“, — ეს კვლავაც მომიხსენებია.

დუმბაშაან ეურული.

10-ს მარტს, 1896 წ. მოსკოვი.

P. S. ამ წერილის გამოგზავნის დროს მოგვვიდა გაზეთი, „ივერია“, საიდგანაც ჩვენდა სასიხარულოდ ვცანით, რომ თბილისში და ქუთაისში უკვე დაუარსებიათ კომიტეტები შესახებ დაზარალებულ ხალხისა. მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ ისეთი ღირსეულნი პირნი ამოუარჩევთო, რომელნიც ეცდებიან გულით შეუდგნენ თავიანთ მოვალეობას, სხვათა შორის, მიმართვენ მთელ რუსეთსაც, და იხმარებენ ყოველ ღონისძიებას უბედურთ დასამშვიდებლიდ.

დუმბაშაან ეურული.

უცხოეთი

იტალია. დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მეფემ კრისპი ინახულა. მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად ნამყოფის მეგობრები ნამდვილად ამტკიცებენ, რომ მეფემ თვითონ მიიწვიაო კრისპი; მიზეზს მიან�d, თუ რისთვი მიიწვია მეფემ იგი, ვერ ასახელებენ. ლაპარაკი იყო, სხვათა შორის, იმაზე, რომ პარლამენტი დაითხოვონ; როგორც იგივე მეგობრები ამტკიცებენ, მეფეს ვითომ პირობა მიუცია კრისპისათვის პარლამენტს არ დავითხოვ, რადგანაც უმეტესობას გადამეგარ პრემიერის მომხრენი შეადგენენო. დღეანდელის სამინისტროს მომხრენი-კი იმას ამბობენ, რომ ეს ხმა ცილისწამებაა, რადგანაც რუდინიმ სამინისტრო იმ პირობით ჩაიბარა, რომ შეეძლოს პარლამენტი დაითხოვოს, თუ რომ ამას საჭიროება მოითხოვსო.

საფრანგეთი. საფრანგეთის ოპორტიუნისტთა მოსვენებას არა ეშველა რა. რა-კი პროგრესიულის გარდასახადის შესახებ ვერა გააწყვეს რა, ეხლა ბერტლოსაგან საინსპექტორის თავის დანებება დაიხვიეს ხელზედ. დაგვიუპა ბერტლომ და ბურუუამ, ინგლისს წაგეზიცა და სამთა კავშირის გაძლიერებას ხელი შეუწყოო. ამიტომაც გარდასწყვიტეს დაეკითხონ ბურუუას გარეშე საქმეთა პოლიტიკის შესახებ. პარლამენტშიაც უნდა დაჰკითხოდეს და სენატშიაც, ბურუუამ მოსთხოვა პარლამენტს, ნება მომეცით ჯერ სენატს მივსცე პასუხი მერმე თქვენთა. ეს ცოტა არ იყოს ოპორტიუნისტებს გაუკვირდათ, ის არ ეჩჩინა ჯერ იქ ეცადა ბედი, საცა უმეტესობა ჰყავს მომხრე, თორემ სენატი ხომ სამინისტროს მტერიაო. მაგრამ, რასაკვირველია, დიდდაც იამთ, თვითვე გაგებება მახვშია, რაკი სენატში დამარცხდება და მერმე პარლამენტში, უფრო ადვილი იქნება სამინისტროს დამარცხებაო. მაგრამ ამ ეამად სენატმა მოისმინა ბურუუას პასუხი დიდის სიწყნარითა და უკმაყოფილებაც არ გამოუცხადა. ოპორტიუნისტებს ეს არ ეეაშნიკთ, აუტყდენ სენატორებს, ოგორ თუ ასე სუსტად მოიქეცით, რომ უკმაყოფილება არ გამოუცხადეთ სამინისტროს და მისი დამხობა არ გააადვილეთო. ამის შემდეგ ბურუუამ პარლამენტშიც გაიმარჯვა, რაღა თქმა უნდა. ეხლა-კი სენატმა გარდასწყვიტა მეორედ დაეკითხოს ბურუუას და უკმაყოფილება გამოუცხადოს. სამინისტროს მოიხრე სენატორმა ბისსეელმა მოითხოვა, რომ ამ საქმის განხილვა ნაადგრამეგისათვის გადავდვეთო, მაგრამ უმეტესობა არ დასთანხმდა. მაშინ ბურუუამ სთქვა: „მე უკვე მოგახსენეთ საქმის მდგომარეობა, მეტის აღარაფრის თქმა არ შეიძლია“. ამ სიტყვებით ბურუუა კათედრიდამ ჩამოდის. სენატი დიდად აღელვებულია და სენატორი მილიარის წინადადებას ეთანხმება 155 ხმით 85 წინააღმდეგ, და სამინისტროს უცხადებს უკმაყოფილებას, ასეთს სამინისტროს ჩვენ არ შეგვიძლია ნდობა გამოვუცხადოთო. სენატმა გადახედა სხდომა 9 აპრილამდის, თუმც რადიკალებიკი თხოულობენ, რომ 7 მაისამდის იქმნეს გადადებული სხდომები, რადგან პარლამენტიც ამავე დღეს იწყებს სხდომებს.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲗᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ამოკრებილი ამბები,

ევროპა ძალიან თავს იწონებს იმით, რომ გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა და შეწყნარებისა, ადამიანის პატივის-ცემისა და სამართლიანად განკითხვისა ჩვენში უფროა, ვიდრე სხვანანა; რომ ყოველმა ამა კეთილმა ჩვენში თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ცხოვრებაში და ყოველის მოქმედების ქვაკუთხედად შეიქმნაო. გამოდის, რომ ყველა ეს ჯერ კიდევ თუ ზღაპარი არ არის, შორს მაინც არის მართალზე. აი ამისი მაგალითი ეხლა გერმანიაში კარგა დიდი დასი, რომელიც ჰფალდებს, რომ გერმანიამ საახალშენო (კოლონიალნი) პოლიტიკა უნდა განაძლიერესო, ამიტომაც უნდა მოიპატიოს ფლოტიო. ამ დასის მოთავეა დოქტორი პეტერსი, რომელიც ცნობილია ვითარცა მკვლევარი აფრიკისა. იგი ერთს დროს აღმოსავლეთს აფრიკაში მთავრობის კამისარადაც ყოფილა და მერე ეპონი-ფაშის საძებრად წასულმა ბევრი რამ გამოარკვია აფრიკაში და მისმა თხზულებამ სახელი მოიპოვა არამც თუ მარტო გერმანიაში, სხვანანაც. ეს ცივილიზაციის გამავრცელებელი პირველ-მოციქული ასეთი რამე ყოფილა, რომ შორს ჩამორჩება ამას თურმე ლეიტი და ვალანი მხეკობაში. ბებელმა გერმანიის პარლამენტში გამოამხილა და დამტკიცა — ეს ყოველად-მოწყალე პიონერი ცივილიზაციისა ისე უღვთოდ ექცევოდა თურმე საწყალს ზანგებს აფრიკაში, რომ ადამიანს თმა ყალხზე აუდგება. გიკვირთ, სახელგანთქმულმა ევროპიელმა როგორ იკადრა და ჩაიდინა ამისთანა ამბები, რომელიც ველურ კაცისათვისაც-კი შეუნდობელია. იგი თავს-იწონებს თავის თხზულებაში, რომ მე „მტერასა“ კაცის გული არა მაქვსო, რომ ზანგს აფრიკისას ისე უნდა მოექცე, როგორც პირუტყვსაო. ისეც იქცეოდა. იგი სოფდები, საცა წინააღმდეგობას ჰხვდებდა, ფდა-ბუდიანად გადაბუგებინა თავის მხლებლებსაო. ბარგის-მზიდველნი, რომელთაც ველარ შესძლეს ბარგის ზიდვა, იქვე დახვრეტილნაო. ერთის სოფლის მკვდრნი ენახა ხეებზე შესაფრებულნი და პეტერს უბრძანებია თოფები ესროლეთ და რამდენიმე კაცი ჩამოკვეხულა მკვდარი ხეებიდან, თითქო ქათმები არიანო. მერე აღმოჩნდა, რომ მტრებს დამალვიან საწყლები ხეებზე, როცა იგინი ამათ სოფელს დასცემიან, და ბანათლებულმა პეტერსმა-კი თოფით დახვრეტილები ძირს პანტასავით ჩამოყარაო. ბებელს ამას გარდა დაუმტკიცებია პარლამენტში, რომ პეტერსს ძალად წაუფრთმეია ერთის ზანგთა უფროსისათვის ქალიშვილი და ხასად დაუსვამს და მერე, შეუტყვია, რომ იგი ქალი შემცდარა და შეუყვარებია მოსამსახურე ზანგი. პეტერს არც უკიბრია, არც უცხელებია და უბძანებია ქალი და მოსამსახურე ორივ ჩამოახრჩეთო. მისს ხელ-ქვეითს ლეიტენანტს შელლენდორფს, რომელსაც თურმე ეს უბძანა, უარი უთქვამს, მე მაგას არ ვვასრულებო, რადგანაც ეს კაცის-კვლა არისო. მაშინ პეტერს სხვისათვის უბძანებია და ბძანება აუსრულებიათ: საწყალი ქალი და მსახური ჩამოუხჩენებია. იქაურს ინგლისელს ეპისკოპოს პიკკერს ყოველივე ეს უმოწმია და როცა პეტერსი ამ ჩამოხრჩობის შემდეგ მისული ეპისკოპოსის სანახავად, ეპისკოპოსს არ მიუღია და უთქვამს: კაცის-მკვლელთან მე არაფერი საქმე არა მაქვსო. ამისთანა მოკქმედებამ პეტერსისამ, ამ გერმანიის კამისარისამ, ზანგებს გული აუშლერია და მინამ ორისა მხრით სისხლი არ დაიღვარა, ზანგები არ დაწყნარებულან. ბებელმა ამ ამბების გამო გერმანიის პარლამენტში გულ-მხურვალე სიტყვა სთქვა და იგი სიტყვა ამით გაათავა: „ცივილიზაციის მაგიერ ჩვენს პიონერებს შეაქვთ უდვთოობა და მხეცობა და ნაყოფი ყოველ ამისი ის არის, რომ იძულებულ ვიქნებით რაც შეიძლება მალე დავეხსნათ აფრიკაში ახალშენებს, ევროპაშიაც საკმათ ადგილებია კულტურის დასაბრკვევადო.“ საქმე ის არის, რომ ახალ-შენის დეპარტამენტის დირექტორმა კიაზერმა, თუმცა სთქვა, რომ „ჩვენდა სამწუხაროდ ყველაფერი აქ თქმული მართალიაო, მაგრამ მაინც ამისათვის კანონმა არავინ არ უნდა დასაჯოსო.“ პარლამენტმა თითქმის ერთ-ხმად გამოუცხადა ამის მთქმელს თავიანი გულის-წყრომა და ამით დაანაზღა ბ-ნს დირექტორს, რომ უმეწო და უძლურის ხალხის ასე უღვთოდ ყლეტა შესაწყნარებელი არ არის პატიოსან და რიგიან ადამიანისათვის. (ნ.)

რას იტყვით მკითხველო? განა შესაძლია ამის შემდეგ გულ-მართლად სთქვას კაცმა, რომ ადამიანი მხეცზე შორს არის წასული?

— სტოჰკოლმის გაზეთი ამბობს, რომ გამოჩენილი ჰაერში მოსიარულე ანდრე 7 ივნისს ჰაერ-მავალთან (ჰაროსტატი) წავა ჩრდილო პოლიუსისაკენო. ანდრეს იმედი აქვს 18 ივნისს შპიტბერგენში მივიდეს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲘᲩᲐᲢᲐᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲘ?

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ახალი სკოლა კრიმინალისტებისა, ეგრეც წოდებულნი ანთროპოლოგ-კრიმინალისტნი ამტკიცებენ, რომ დამნაშავეთ ზედვე დაბადებითვე ასეოთ ბეჭედი ბოროტებისა; მათი გარეგანი შესახედაობა და მთელი ორგანიზაცია გვაროშვენებს, რომ იგინი განსაკუთრებულს ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთა დანაშაულებაც ბოროტების ჩადენაშიაო. ლომბროზომ, გეროფალომ, ფერრიმ და სხვათა, მრავალი ცდა მოახდინეს და აღიარეს, რომ არის ტიპი დამნაშავეთა, რომლის მცოდნეც პირველივე შეხედვით მიხვდება, რომ ეს კაცი დთუოდ ბოროტ-მოქმედი უნდა იყოსო. რამდენად მართალია ეს თეორია ამის განხილვას ჩვენ არ შეულგებით, მხოლო ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი საყურადღებო ფაქტებია შეკრებილი ამ მეცნიერთა ნაწარმოებებში. დღესაც ენრიკო ფერრის დაუბეჭდია „რეგიუ დე რეგიუში“ წერილი ზემოდ მოყვანილის სათაურით. ფერრი ამტკიცებს, რომ დიდებულმა მწერლებმა — სწორედ ისეთივე სურათი დაგვიხატეს დამნაშავეთა, როგორიც ჩვენ ჩვენს მეცნიერულს ნაწერებშია.

ფერრის თეორიით არსებობს ხუთი ჯგუფი დამნაშავეთა: დამნაშავენი დაბადებიდგანვე, დამნაშავენი ჭკუაზედ-შემცდარნი, დამნაშავენი მიჩვევით, შემთხვევით. უკანასკნელს მეხუთე ჯგუფს ეკუთვნის ის დამნაშავენი, რომელნიც დანაშაულს ჩაიდენენ ხოლმე, ამა თუ იმ ვნების ზედგავლენის გამო. უწოდოთ ამათ ვნებისა გამო დამნაშავენი. განსაკუთრებული ყურადღება მწერლებს მიუქცევიათ მხოლოდ ორი უკანასკნელი ჯგუფის დამნაშავეთათვის. ხელოვნების შტოებში უფრო მეტი ყურადღება დამნაშავეთათვის მიუქცევია ლიტერატურას. თუმც ზოგიერთი ნაწარმოები ქანდაკებისა (რომის იმპერატორების ლუსკუმები) გვიხატავს ნამდვილს დამნაშავეთა ტიპს: უსწორ-მასწორო პირისახე, პატარა თვალები, ვებერთელა ყბები წვრილი შუბლი, გარედ გამოწეული დიდი ყურები, და ძალიან თხელი წვერი და ულვაში.

(დასასრული იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

—

გთხოვთ ჩვენი უბედნიერესი მდგომარეობა გამოუცხადოთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით სოფელ ბატარეულეში განზრახულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ სხვა-და-სხვა წიგნების შემოწირვისათვის შემდგ ეკვლესიაგან ბატეგცემულ პირთ: იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც 9 ცალი თავისი გამოცემანი შესწირა, ივანე როსტომაშვილს, რომელმაც 12 ცალი თავისი გამოცემანი და ქ-ნ ანნა გიორგის ასულს კალბასინსკისს, რომელმაც 15 ცალი ქართული წიგნი შეოსწირა.

მარიამ ლეონიძე.

19 მარტი.
1896 წ.

საქართველოს თავადნი.

—

თავადნი თარხან-მოურავიშვილები 6 დეკემბერს 1850 წ. უმადლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში ჰალიშნულნი ესენი თავადნი თარხან-მოურავიშვილები 13 ოქტომბრს.

უმრთელესის სენატის დადგენილებით 13 ივნისს 1852 წ., 2 ივნისს 1857 წ., 20 დეკემბერს 1861 წ., 8 მაისს 1863 წ. და 22 ივნისს 1864 წ. ამ გვარს შეეერთდნენ თავადნი თარხან-მოურავიშვილები. 1) გრიგოლ, დავთ, იოანე, ესტატე და ნიკოლოზ ლუკას ძენი; 2) ივანე ესტატეს ძე, 3) ოთარ ივანეს ძე; 4) გრიგოლ ითრამის ძე; 5) რაჟდენ ლუკასის ძე და 6) კასიდ ალექსანდრეს ძე.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

(რუსეთის დეპეშათა საგანგებოსაგან).

31 მარტი.

ᲞᲝᲢᲝᲛᲘ. მდ. ეპარეკამ იკლო. ქალაქი ნანეკარზე განთავისუფლდა წყლისაგან.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 31 მარტს გარდაიცვალა ტრიკუპანი.

ᲞᲝᲢᲡᲓᲐᲛᲘ. 31 მარტს გარდაიცვალა შრადერი.

ᲓᲐᲠᲛᲨᲢᲐᲓᲢᲘ. დიდი ჭრეოგი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მეუღლე 4 მაისს მოსკოვში მიდიან გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად.

ვენა. როგორც ცეტინიედან იტყობინებიან, ჩერნოგორიის მთავარი 4 მაისს მოსკოვს მიდის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლადაო.

ვენა. პრინცი ოლდენბურგისა კიევს წავიდა.

რომი. მასსოვადამ იტყობინებიან, რომ პოლკოვნიკის სტეფანის საქმე, რომელიც დერეფრეშთან მოუხდა მოხრამაში, სრულის გამარჯვების მომასწავებელია იტალიელებისათვისაო. დერეფრეში გაჰფანტეს და მიმშველს ჯარსაც პირი აბრუნებინესო. დერეფრეს დიდი ზარალი მოვიდათ. იტალიელთა ჯარებიდამ მხოლოდ ასი კაცი იქმნა მოკლული.

ვენეცია. 30 მარტს გერმანიის მეფე-დედოფალი მობრძანდნენ გემით „ჰოჰენცოლლერნით“. მაშინვე წავიდნენ ამავე გემით: მეფე, დედოფალი, პრინცი ნეაპოლიტანისა და იტალიის ელჩი ბერლინში.

ქაირი. სახელმწიფო ვალის კასსიდამ დონგოლის ექსპედიციისათვის აღებულ ფულის საქმე ორშაბათს იქმნება განხილული საერთაშორისო სასამართლოსაგან, მაგრამ განაჩენი ორ კვირაზე აღრე არ გამოცხადდება.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა-დასხვა წინააღმდეგი ხმები ისმის, ფიქრობენ, რომ ექსპედიცია აკაშეზზე შორს წავა.

1 აპრილი

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 31 მარტს დაბრუნდა პეტერბურგს.

სოფია. ხმა ისმის, რომ მაკედონიაში შემოიღებენ იმ რეფორმებს, რომელთაც მთავარი თხოულობდა სტამბოლში, სახელდობრ: ბოლგართა საზოგადოებებს უფლება მიენიჭოთ არსებობისა, იქ დაინიშნოს ბოლგარიის ქანდარმერია და ოთხი ახალი ბოლგარელი ეპისკოპოსი.

გაზ. „სვობოდა“ თავვამოდებით ეკამათება რუსების მომხრეებს ბოლგარიაში, თანხმად გაზ. „ნეი ფრეი პრეს“-ისა და საფუძვლად მოჰყავს ვითომ ტყუელი ამბავია პატრიარხთან საქმის გარიგებაო.

სოფია. მკვიდრნი დამშვიდნენ იმის გამო, რომ მთავრობამ გამოაცხადა არავითარი საქმის გარიგება არა გვქონია პატრიარხთანაო; საყვედურის გამოსაცხადებლად კრება აღარ შემდგარა. ქალაქი მშვიდად და მხიარულად ატარებს დღესასწაულ დღესა.

„ივერიის“ ფოსტა

ძ. ნუხაში—გ. სალარიძეს: თუმანი მილეშიათანავე გადაეცა ქიზიყის დეპო-ბანკის გამგეს,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნაგასარდიანისა

(ეკეაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დღლობობით:

ბ. ს. ნაგასარდიანი, 11—12 საათ.

იმათ, ვისაც სურს: სნეულებანი სანერვიერიოგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩაქანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ი. დუნაევა-ბუდანგო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ს. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკევობით.

ს. ბ. ბურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ს. ბ. ბურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სომ. ნაგასი დოქტორი მედიცინისა ნაგასარდიანი. (ფ).

კბილის ექიმი
ა. ი. ოლბელი

სოლოლოკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

** კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—96).

ქირავდება

ხუთი ოთახი ავეკლის ქუჩა, № 21.

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ მისის დაწერებით 2 აპრილს ამა წლისას, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცე მისა ქალაქის ქუჩების და მოედნების ქვით დფენისა. პირობების დაწერილებით შეტყობა შეიძლება ყოველდღე, კვირა დღეების გარდა, გამგეობის შენობათა ასაგებ განყოფილებაში დილის 10 საათიდამ შუადღის 2 საათამდე.

3—2

ტფილისის სათავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვეულებრივი წლიური კრება ბანკის წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთა დანიშნულია 1896 წ. 20 აპრილს, დილის 10 საათზე, ქართველ თავად-აზნაურობის შენობაში, სასახლის ქუჩაზე ტფილისში.

საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1895 წლის ბანკის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება 1896 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) მოხსენება საყოველთაო სასარგებლო თანხის განაწილების შესახებ.

4) მოხსენება ვენახების გირაოთი სესხის გაცემის შესახებ გირავნობის ფურცლებით.

5) მოხსენება ბანკის საზოგადო კრებათა წარმომადგენლობითი წესრიგზე შეცვლის შესახებ.

6) მოხსენება დარჩენილ 6% გირავნობის ფურცლების კონვერსიის შესახებ.

7) მოხსენება ბანკის სადგომის გაფართოვების შესახებ და მასთანავე სადგომის დაქირავების პირობათა შესახებ.

8) მთავრობისაგან ბანკის რევიზიის შესახებ მოხსენება.

9) ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება დამფასებელ კომისიის ინსტრუქციის შესახებ.

10) არჩევანი: 1) გამგეობის ორის წევრისა, რომელთაც ვადა სამსახურისა უთავდებათ, თავ. ივანე გიორგის ძის მაჩაბლისა და უგანთ. თავ. მიხეილ ალექსანდრეს ძის გრუზინსკის მაგიერ და ორის კანდიდატისა. 2) დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, რომელთაც ვადა უთავდებათ, თავ. ლევან ლევანის ძის ჩერქეზიშვილისა და თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის თუმანიშვილის მაგიერ და ორის კანდიდატისა.

ამასთანავე ზედამხედველი კომიტეტი აცხადებს ბანკის წევრთა საყურადღებოთ, რომ მიღება თხოვნათა, რათა დამფუძნებელად ჩაირიცხოს და მიღება ვექილობათა საზოგადო კრებაში მონაწილეობისათვის შეწყვეტილ იქმნება: ჩარიცხვის თხოვნებისა—კრების ორის კვირის წინ, ხოლო ვექილობათა—კრების ერთის კვირის წინად. (3—2)

ბიბლიოთეკა-სამკითხველო

სომეხთა საქელ-მოქმედო საზოგადოებისა კავკასიაში, სერგიევის ქუჩაზე, ალიხანოვის სახლში № 16, გახსნილია დილის 9—2 საათ., საღამოს 5—8 საათ., კვირა და უქმე დღეებით დილის 9—12 საათ. შეიძლება წიგნებისა და ჟურნალების წაღება სახლში. პირობა: წელიწადში 4 მ., თვეში—40 კ., თითო შემთხვევა—2 კ. არის განყოფილება ბიბლიოთეკისა კავკასიისა და აღმოსავლეთის შესწავლისთვის. სამკითხველო იღებს გაზეთებს და ჟურნალებს: 1, „Бирж. Вѣд.“, 2, „Вопр. филос. и псих.“, 3, „Вѣстн. Иностр. Литер.“, 4, „Вѣст. Евр.“, 5, „Восп. и Об.“, 6, „Всем. Иллюст.“, 7, „Каспій“, 8, „Книжки Недѣли“, 9, „Лучъ“, 10, „Моск. Вѣд.“, 11, „Міръ Божій.“, 12, „Новости“, 13, „Нов. Вр.“, 14, „Нед.“, 15, „Нива съ прил.“, 16, „Нов. Сл.“, 17, „Нов. Печ.“, 18, „Петер. Жизнь“, 19, „Русс. Вѣд.“, 20, „Рус. Л.“, 21, „Рус. Ар.“, 22, „Сѣв. Вѣст.“. ადგილობრივი: 23, „Кавк.“, 24, „Нов. Об.“, 25, „Тиф. Лист.“, 26, „Кав. Сельс. Хоз.“, 27, „ივერია“. სომხური: 28, „Мшакъ“, 29, „Ардз.“, 30, „Норъ-даръ“, 31, „Таразъ“, 32, „Агбюръ“, 33, „Мурчъ“, 34, „Араратъ“, 35, „Базм.“, 36, „Ант. Асис.“, 37, „Айр.“, 38, „Шавитъ“, 39, „Цахикъ“. (8—5.—5)

ქალი, რომელმაც იცის, სხვათა შორის, ქართული, ბერძნული, თათრული და საკმაოდ რუსული ენაც, დგება მოსამსახურედ უმაწვილების მოვლელედად. აღრესი მისი — ჩუდურეთში, გონჩარნაგის ქუჩაზედ, № 32, იკითხეთ მეფლეშსედე ნაგაშიძესთან. (3—1)

ქ. ბათუმი
„თამარის ციხე“.

მაქვს პატივი ვაცნობო კეთილშობილ საზოგადოებას, რომ მარტის 15-ა-თავ. კ. მუხრანსკის მამულში

„თამარის ციხეზე“

დაიწყება სახალხო სეირნობა. კვირაში სამჯერ ბაღში დაუკრავს ხომ რო სამხედრო მუსიკისა. ბაღში იშოვნება ყოველგვარი ევროპიული და ადგილობრივი სასმელები და საჭმელები და სხვა და სხვა ზაკუსკეულობა. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება არ დგგტოვებს უყურადღებოდ. სიმდაბლით: ბუფეტის პატრონი **ზიოგრი სვიმონის ძე ლალიძე.** (6—34—2)

УРЧЕВЕ

საპონს „მიუსკ“

“მშვენერის თვისებისაა და საუსიმავნო ხმარების დროს.

ს.ბ.ბ. სატენნიკოვ-ქიმიურ ლაბორატორიისა

ს.-პეტერბურგი, ალექსანდ. მოედ. 9. მოსკოვი. ვარშავ. (7—9—1).

ადგილობრივ ყველაგან.

კელერის ფხვნილი მწერათათვის

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან

ამ თხუთმეტის წლის წინად ეგრედ წოდებული „სპარსული“, ხოლო ნამდვილად **„კავკასიური“** გვირილა (დაფქული კავკასიის მთებზედ მოსული გვირილის ორ-გვარ ყვავილისაგან) ცნობილი იყო როგორც საუკეთესო და ნამდვილი საშუალება ყოველგვარ მწერთა წინააღმდეგ სახმარებლად.

ამის გამო ხსენებული ფხვნილი აუარებელი გაჰქონდათ ყველა ქვეყნებში, ვიდრე ადგილობრივ მეკოვრემლებმა თვითვე არ წაახდინეს იგი სხვა-და-სხვა ყვავილების შერევითა და მთლად არ დასცეს იმაურ გვირილით ვაჭრობა ძირს, ასე რომ რუსეთმაც-კი შემდეგ **„დალმატური“** გვირილის ხმარება ამჯობინა, თუმცა ეს უკანასკნელი ბევრით უკან ჩამოუვარდება ძალით **ნამდვილს** „კავკასიის გვირილას“.

ამ რიგად **კავკასიის გვირილის** ნაცვლად უცხოეთიდამ გადმოგვაქვს **დალმატური გვირილა** და პირველი-კი თითქმის ყველამ დავიწყა.

რომ კვლავ აღვიდგინნ ღირსება და ნდობა ჩვენის მამულის ნაწარმოებისა, 1892 წელს ჩვენ დავაარსეთ კავკასიაში საკუთარი საადგენტო, ქ. ალექსანდროპოლში, რათა ხსენებულმა საადგენტომ ადვილნოს თვალი კავკასიაში ამ მეკენარის კულტურას და საუკეთესო ჯიშის გვირილა იყოდოს ხოლმე ადგილობრივ გლეხებისაგან **პირველ ყვავილობის დროს** და უფრო-კი **„ბრაგბაცის“** მთის კალთებზე.

შემდეგ ყვავილები ჩვენს ფაბრიკებშივე იფქვის მოსკოვში და ამიტომ, რასაკვირველია, უმჯობესია მოითხოვოთ ხოლმე წარწერა ამხაგობისა რ. კელერ და ამბ., როგორც თავდები საქონლის ღირსებათა.

ვ. უ. ფაბრ.-ვაჭრ. ამხან-ბა რ. კელერ და ამხან., მოსკოოში.

(2—16—1)

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა **18 ახალი** ქართული წიგნი და **1 ალბომი** **<ქართველთა ნათესავნი ანუ ტომნი>** (ეროვნული ტომები) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით. ოთხი წიგნი უკვე გამოვიდა და ახლა იბეჭდება მეხუთე და მეექვსე წიგნი—პეტალოგიის კლასიკური მოთხრობა **<ლინგბარდი და ვერტრუდა>** ოჯახში შვილების აღზრდაზე და **<ფუტკარი ბოლნელი მოკვლა ამოშენება>**. ამათ შემდეგ, სხვათა შორის, დაიბეჭდება ორი შესანიშნავი თხზულება—**<ციელზაციის ისტორია ინგლისში>** ბოკლისა და **<ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა>** კარნოსი.

ფასი მთელის გამოგებისა **4** მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს: ქ. ტიფლისს, Дав. пл. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—10—2)

ვაჭრობის მალამო
კელერისა

ბაბებში სახმარებელ წადებისათვის.

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

სრულიად არ უშვებს სისველეს; არბილებს და დიდხანს აძლევინებს ტყავს; არც ცუდი სუნი აქვს. ყველა ამ ღირსებებთან ეს მალამო სხვა მის გვარ მალამოებთან შედარებით ძლიერ იაფად ღირს. 2—21—1

სამზღვარგარეთიდამ დაბრუნებული

უმაწვილი კეცი

იღებს ფრანგულ და ლათინურ ენის გაკვეთილებს.

აგრესა: ქართველთა ამხანაგობის ბიბლიოთეკაში. 3—3

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Апрѣля 1896 г. სტამბა ვ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.